პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 208 (4202)

1970 წ. 22 ოქტომბერი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



როცა გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 19 45

◆ ფენიქსი, 21 ოქტომბერი. ოქროს 3 მედალი მოიხვეჭეს საბჭოთა მსროლელებმა აქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. სატრანშეო სტენდზე პირველი იყო ი. სიდოროვა — 136 ქულა. ჩვენი ქალთა გუნდი უძლიერესი აღმოჩნდა „გაქცეულ ტახზე“ ვარჯიშში — 1489, ვ. პარხიმოვიჩმა უკეთესი აჯობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე (3×40) დგომელა სროლაში — 376 ქულა.

## 200 ოსტატის, 300 კანდიდატის მონაწილეობით

კრასნოდარი, 20 ოქტომბერი. დასასრულს უახლოვდება რუსეთის სოფლის სპორტული თამაშები, რომლებშიც 200 სპორტის ოსტატი და 300 ოსტატობის კანდიდატი გამოდის. ველოსიპედისტთა ასპარეზობა მოიგეს ტულელმა სპორტსმენებმა, მძლეოსნობა — მოსკოვის ოლქის წარმომადგენლებმა, ხელბურთი — კრასნოდარელებმა, კლასიკური ჭიდაობა — მოსკოვის ოლქის ათლეტებმა.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები.

# ყოჩაღ, თელაველებო!

ქალაქში გაკრული აფიშები იუწყებოდნენ, რომ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში უნდა ჩატარებულიყო საქართველოს პირველობა ძალოსნობაში ახალგაზრდათა შორის, რომ სარბიელზე უნდა გამოსულიყვნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ახალციხისა და სხვა სპორტსმენები. „და სხვას“ რომ თავი დავანებოთ, უკვე ზემოჩამოთვლილი გუნდების მონაწილეობა ტურნირში ძალოსნობის გულშემატკივართა გულს იმედით ავსებდა, ვინაიდან ეს ფაქტი სპორტის ამ სახეობის გეოგრაფიის სიფართოვეზე მეტყველებდა.

მართალია, მაყურებლები ამაოდ დაუწყებდნენ ძებნას მონაწილეთა შორის სამხრეთ ოსეთის, ჭიათურისა და ახალციხის ათლეტებს, მაგრამ თელაველ ძალოსანთა კარგი გამოსვლა სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მათი წარმომადგენელი თითქმის ყოველ წონით კატეგორიაში ხვდებოდა პრიზიორთა შორის, ხოლო დ. კახიძემ (მჩატე წონა) და თ. ძაგოევმა (ქვემძიმე) საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაიკავეს ადგილი. ეს წარმატება უდავოდ თელაველ ძალოსანთა მწვრთნელის რ. საამოვის დამსახურებაა. კარგი იქნებოდა, ძალოსნობა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც ასევე პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდეს. გუნდურ ჩათვლაში თელაველები მხოლოდ თბილისელებს ჩამორჩნენ და ბევრად გაუსწრეს III ადგილზე გასულ ბათუმელებს.

სამხრეთ ოსეთის, ჭიათურისა და ახალციხის ათლეტებმა, რომელთაც შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს, თავი იმით იმართლეს, ახალგაზრდა ათლეტთა ზონალური პირველობისთვის ვემზადებითო.

შეჯიბრების შედეგებიც ვერაა სახარბიელო. მხოლოდ გამარჯვებულებმა მიაღწიეს ასე თუ ისე მაღალ მაჩვენებლებს. ამ ტურნირში არც ერთი რესპუბლიკური რეკორდი არ დამყარებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნიჭიერი სოხუმელი ძალოსნის რ. ტარკილის (მძიმე წონა) მიერ აჯიმვაში ნაჩვენებ შედეგს (144,5), რაც ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური მიღწევაა.

ა. ცეხანელი.

• • •

ქვემოთ მოგვყავს გამარჯვებულთა და გუნდური შედეგები.

**უმჩატესი წონა**: თ. ბაზერაშვილი (თბილისი) 210; **მჩატე**. დ. კახიძე — 252,5; **ქვემსუბუქი**. ი. ბაბაევი — 300; **მსუბუქი**. ლ. კამალოვი — 357,5; **ქვესაშუალო**. ვ. ძახოხოვი — 335; **საშუალო**. ა. ციბანი (ყველა — თბილისი) 360; **ქვემძიმე**. თ. ძაგოევი—360; **მძიმე**. რ. ტარკილი — 445. (ზემძიმე წონაში მონაწილე არ იყო).

**გუნდური**. 1. თბილისი — 6655 ქულა, 2. თელავი — 5353, 3. ბათუმი — 1912, 4. რუსთავი — 1637, 5. ქუთაისი — 997, 6. სოხუმი — 497.



რესპუბლიკის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში გაზეთ „ლელოს“ პრიზზე სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ნ. გოგოტიშვილმა პროგრამის 4 სახეობიდან ორში გაიმარჯვა, საერთო ჯამში კი უძლიერესი აღმოჩნდა. ეს ნიჭიერი სპორტსმენის დიდი წარმატებაა.

• • •

სურათზე: ნ. გოგოტიშვილი.

ბ. ქვათაძის ფოტო.

## ახალი საჩოგბურთო სტადიონი

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს კურორტ წყალტუბოს მცხოვრებლებმა და დამსვენებლებმა. აქ დამთავრდა ახალი საჩოგბურთო სტადიონის მშენებლობა, რომელსაც ოთხი კორტი მოეწყო.

მშენებლობის საერთო ხელმძღვანელი იყო თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის დირექტორი ი. გოგილაშვილი. უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამშენებლო სამუშაოებს ბრიგადირი — თბილისელი ჩოგბურთელი მ. ხუდოიანი. ხუდოიანთან ერთად მონდომებით მუშაობდნენ მისი თბილისელი კოლეგებიც — გ. საბაშვილი, თ. ალუღიშვილი, ა. მალოიანცი. მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თვით წყალტუბოს მკვიდრებმაც — ვ. ჯანელიძემ, ვ. ფირცხალავამ და სხვებმა.

მშენებლებს დიდ დახმარებას უწევდა წყალტუბოს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე შ. კინწურაშვილი). არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ინტერესი, რომელიც ამ კარგი საქმისადმი გამოიჩინეს წყალტუბოს რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გვაზაძემ.

სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც ახალი ბაზა ჩაიბარა, კარგი შეფასება მისცა მშენებელთა ნაშუშევარს. უახლოეს ხანებში მოეწყობა სტადიონის საზეიმო გახსნა, რომელზეც მიწვეული იქნებიან რესპუბლიკის წამყვანი ჩოგბურთელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ა. მეტრეველი, თ. კაკულია, რ. აბჟანდაძე, ა. ივანოვა, ნ. თუხარელი.

სტადიონი მზადაა. ახლა საჭიროა წყალტუბოში მუშაობა დაიწყოს ჩოგბურთელთა მწვრთნელმა, აგრეთვე, დაუშვან სტადიონის დირექტორის შტატი, რათა ახალ ბაზას ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლდეს, მაშინ წყალტუბო ჩოგბურთის განვითარების ერთ-ერთ ცენტრად იქცევა ჩვენს რესპუბლიკაში.

ა. ნიკოლაძე,
(ჩვენი სპეც. კორ).

წყალტუბო.

## ახალი ამბები

● ფენიქსი, 20 ოქტომბერი. ტყვიის მსროლელთა აქ გამართულ მსოფლიო პირველობაში გამოვლინდა ჩემპიონი 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში (60 გასროლა წოლელა მდგომარეობიდან). ესაა იტალიის გუნდი — 2368 ქულა. II ადგილზე არიან რუმინელები — 2367, III — იუგოსლაველები — 2366. საბჭოთა ნაკრები 2341 ქულით XI ადგილზეა. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა იუგოსლავიის გუნდი — 1759. საბჭოთა მსროლელები VI ადგილზე არიან — 1748.

● ვინკოვცი, 20 ოქტომბერი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ლიდერი გახდა დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი — 9,5 ქულა. იუგოსლაველ გლიგორიჩსა და ჩეხოსლოვაკიელ ჰორტს 8,5-8,5 ქულა აქვთ. ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვეს ტაიმანოვმა, პეტროსიანმა და მინიჩმა (იუგოსლავია).

● ლვოვი, 20 ოქტომბერი. ლვოვის ოლქის მშვილდოსანთა პირველობაში თავი გამოიჩინეს ლ. სტრელნიცკიმ და ნ. ლონსკაიამ, რომლებმაც ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარეს. პირველმა „8-1“ ვარჯიშში 1.202 ქულა მიიღო, მეორემ — 1197.

● ვოლგოგრადი, 20 ოქტომბერი. აქ თავისი ტურნეს ბოლო მატჩი გამართა თეირანის ფეხბურთელთა ნაკრებმა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ადგილობრივი „სტალის“ გუნდი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

● ხარკოვი, 20 ოქტომბერი. აქ დამთავრდა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების ტურნირი. I ადგილზე გასული კოლექტივი გაისიდან უმაღლესი ლიგის ბინადარი ხდებოდა. ეს უფლება მოიპოვეს მოსკოვის ოლქის დინამოელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში ფრედ — 3:3 — ითამაშეს ვოლგოგრადის „სპარტაკთან“. II ადგილზე არიან ხარკოველი დინამოელები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ VII ადგილი დაიკავა. საქართველოს მეორე გუნდმა „ლოკომოტივმა“ დაკარგა „ა“ კლასის მეორე ჯგუფში ასპარეზობის უფლება.

● ფერგანა, 20 ოქტომბერი. აქ გამართული საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა 7 ეტაპი გაიარეს. რბოლას ლიდერობს დუშანბელი ს. შეპელი, რომელმაც 757 კილომეტრის გავლას 18:23.26 მოანდომა. გუნდურ ჩათვლაში წინაა შეიარაღებული ძალების გუნდი — 55:12.19. II ადგილზე დამკვიდრდნენ ბურევესტნიკელი ველომრბოლელები — 55:13.49, III — დინამოელები — 55:15.50.

● მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ჟურნალისტთა სახლში გაიმართა სპორტული ლოტოს ლატარიის პირველი ტირაჟი. ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა სპორტული ჟურნალისტი ა. დობროვი („სოვეტსკი სპორტი“), რომელმაც ერთ ბარათზე გამოიცნო 4 ციფრი, მეორეზე — სამი. მორიგი ტირაჟი გაიმართება 30 ოქტომბერს.

● დნეპროპეტროვსკი, 21 ოქტომბერი. პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების მძლეოსანთა საკავშირო ტურნირში 19 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ტ. კონდრაშოვამ 100 მეტრზე თარჯრბენში 13,3 წამი აჩვენა. მან 0,1 წამით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, რომელიც ოდესელ ლ. მიტროხინას ეკუთვნოდა. მ. ბახმატოვამ (ლენინგრადი) მოიგო 200 მეტრზე თარჯრბენი (27,6) და 100 მეტრზე რბენა — 11,7. 19 წლის ა. სპირიდონოვმა ურო ტყორცნაში ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 63,14 მ.

## სპორტული ფილმების ფესტივალი

სპორტის პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი 23, 24 და 25 ოქტომბერს სპორტის სასახლეში აწყობს სპორტული ფილმების რესპუბლიკურ ფესტივალს, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება. ფესტივალის დღეებში ნაჩვენები იქნება როგორც ქართული, ასევე ჩვენი ქვეყნის სხვა სტუდიების მიერ შექმნილი კინოფილმები, მათ შორის: „საქართველოს სპორტსმენები“, „ეს რეგბია“, „მეოთხე საიუბილეო“, „ფეხბურთი უბურთოდ“, „შეხვედრა იალბუზთან“, „ბურთი, გულშემატკივრები და ჩვენ“, „გზა ერთი გოლისაკენ“, „ნა-ტა-ლი“, „როდესაც აფრები მღერიან“, და სხვ.

ფესტივალზე წარმოდგენილ საუკეთესო ქართულ ფილმებს გადაეცემათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ხვალ კინოფილმების ჩვენება დაიწყება 19 საათზე, დანარჩენ დღეებში — 14 საათზე.

## იუბილეს უძღვნიან

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა გორის რაიონის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 15 გუნდი, დაუმარცხებლად განვლეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს სოფელ სკრის მეხილეობის საცდელი სადგურისა და ზელდულეთის კოლმეურნეობის კოლექტივებმა.

გადამწყვეტ მატჩში გამარჯვება წილად ხვდა სკრის გუნდს (5:1), რომელსაც გადაეცა რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დაწესებული საიუბილეო თასი.

●

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, აგრეთვე, რაიონის პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში, რომელიც გორის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა, 11 ნაკრები გუნდის 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილი დაისაკუთრა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ძლიერმა კოლექტივმა. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს სკრის მეხილეობის საცდელი სადგურისა და სოფელ კარალეთის საბჭოთა მეურნეობის გუნდებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. გენგიური (მეჯვრისხევი), გ. კავსაძე (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ი. ფუხაშვილი (ატენი), ე. ცერცვაძე (ზელდულეთი), დ. დონღუზაშვილი (ქიწნისი), ვ. ოქროშიაშვილი (სკრა), ჯ. რომელაშვილი (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), მ. მიხანაშვილი (ატენი).

ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპორტსმენებს გადაეცათ საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები.

ზ. გოზალიშვილი,
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორ ასაკობრივ ჯგუფად

მაიაკოვსკის რაიონის მძლეოსანთა პირველობაში 13 საშუალო და 8 რვაწლიანი სკოლის 154 მოსწავლე ასპარეზობდა. ტურნირი უმცროსი და უფროსი ასაკის ბავშვებისთვის ცალ-ცალკე გაიმართა. უმცროსი ასაკის ჯგუფში იმარჯვა ფერსათის საშუალო სკოლის ნაკრებმა, რომელმაც 4.333 ქულა დააგროვა. II ადგილზეა დიმის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდი — 4192, III — წყალთაშუას რვაწლიანი სკოლის სპორტსმენები — 3391. უფროსი ასაკის ჯგუფში საუკეთესო იყო ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის ნაკრები. ამ სკოლის მძლეოსნებმა 3675 ქულა მოაგროვეს და 140 ქულით აჯობეს დიმის 1-ლი სკოლის სპორტსმენებს, III ადგილზე გავიდნენ დიმის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლები — 3454.

ორივე ასაკის საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და გარდამავალი თასი დიმის 1-ლი სკოლის მძლეოსნებმა დაისაკუთრეს.

**რ. ენდელაძე,**
**მაიაკოვსკის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

## კარგი ტრადიცია

სოხუმში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: ქალაქის ორგანიზაციები ერთმანეთს შორის ხშირად მართავენ ამხანაგურ მატჩებს ფეხბურთში. ამ საქმის ინიციატორები სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები არიან.

ახლახან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები შეხვდნენ აფხაზეთის განათლების სამინისტროს მუშაკთა ნაკრებ კოლექტივს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4.

**დ. შონია,**
**სოხუმის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

# მომავლის სტადიონი

— როგორ გაქვთ წარმოდგენილი მომავლის სპორტი? — ასეთი შეკითხვით მიმართა, აას-ის კორესპონდენტმა სპორტული ნაგებობების ცნობილ სპეციალისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. პოლიკარპოვს.

— სპორტი ჩემთვის პირველ ყოვლისა გახლავთ სტადიონები, სპორტული მოედნები, საცურაო აუზები, სპორტული ინვენტარი, ყველაფერი ის, რის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სპორტის, მისი უდიდესი მიღწევების არსებობა, — თქვა პოლიკარპოვმა.

როგორ მაქვს წარმოდგენილი მომავლის სტადიონი?

ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკი, მძლეოსნური სექტორები. აი, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ სტადიონის ტრიბუნებიდან ვხედავთ, მაგრამ ეს არც ისე ცოტაა. საფეხბურთო მინდორზე ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ არა მარტო თვალწარმტაცი მატჩი, არამედ ტანმოვარჯიშეებისა და აკრობატების გამოსვლები, მასობრივი სპორტული ზეიმები. სარბენ ბილიკზე ზამთარში მოციგურავეები ასპარეზობენ. აქ ტარდება მოტორბოლები. რა შეიძლება ნახოთ კიდევ სპორტულ სარბიელზე? — თურმე ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რაც სპორტთანაა დაკავშირებული.

წარმოიდგინეთ, რომ მივედით ერთ-ერთ დიდ სტადიონზე... წელს. თუმცა, ზუსტ თარიღს არ ვასახელებ, ვცადოთ წარმოვიდგინოთ სტადიონი ისეთი, როგორიც იგი ათი წლის შემდეგ იქნება.

დავიწყოთ ფეხბურთის მინდვრიდან. როგორ წარმოგვიდგება იგი?

ფეხბურთის მინდორი, ცნობილია, ჭირვეული რამაა. რა ჩინებული გაზონიც უნდა ჰქონდეს, მაინც მუდმივ მოვლას საჭიროებს. ერთგან ბელტია გამოსაცვლელი, მეორეგან — ბალახი დასამატებელი. მშრალ ამინდში მინდვრის მორწყვაა საჭირო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ზრუნვას მოითხოვს და ძვირი ჯდება. კი მაგრამ, არ შეიძლება მოეწყოს ფეხბურთის მინდორი ხელოვნური გაზონით? — შეიძლება. დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ახლო მომავალში ჩვენში გაჩნდება სწორედ ასეთი ფეხბურთის მინდორი. რისგან იქნება იგი დამზადებული, რეზინისგან, კაუჩუკისგან, ტარტანისგან თუ რაიმე სხვა უცნობი მასალისგან, ჯერ ძნელი სათქმელია. მაგრამ ასეთი საფეხბურთო მინდვრები გაზონის იმიტაციით დიდ მოვლას აღარ მოითხოვს. ასეთი მინდორი დიდხანს გაძლებს და მოსახერხებელიც იქნება სათამაშოდ.

მჯერა, რომ ფეხბურთს ითამაშებენ არა მარტო ზაფხულში, არამედ ზამთარშიც. საფეხბურთო მატჩები თოვლზე ახალი ხილი აღარაა, მაგრამ მომავლის სტადიონზე განსაკუთრებული მატჩები გაიმართება. არც წვიმა, არც თოვლი, არც ქარი ხელს არ შეუშლის მოთამაშეებსა და მაყურებლებს. საქმე ის არის, რომ საგანგებო მოწყობილობა დაიცავს ფეხბურთის მინდორს ამინდის ჭირვეულობისაგან. სტადიონს ექნება უჩვეულო, მცურავი სახურავი. წარმოიდგინეთ სტადიონის ზომის უზარმაზარი ლეიბი. იგი შედგება პოლიეთილენის მრავალი ბალიშისგან, რომელიც მსუბუქი გაზით, მაგალითად, ჰელიუმით იქნება სავსე. ასეთი სახურავი ჰაერში დაეკიდება და, რათა ქარმა არ წაიღოს, ტრიბუნების ზედა ნაწილზე გაკეთებულ რკინა-ბეტონის წინაფარზე ან განსაკუთრებულ საყრდენზე იქნება დამაგრებული.

საჰაერო სახურავი, რომელიც შუაში გიგანტური თაღივით ამოიწევს, წვიმის დროს წყალს სტადიონის ფარგლებს გარეთ მისცემს გზას. თუ ზედ თოვლი დაგროვდა, არც ესაა საშიში. სახურავი გაიხსნება და თოვლი მიწაზე დაიყრება.

შეიცვლება სარბიელის განათებაც. ნახევრად გამჭვირვალე სახურავი დღისით სასიამოვნო გაფანტულ სინათლეს გაატარებს, საღამოს კი სტადიონს ხელოვნური მზე გაანათებს. იგი ზამთარშიც უხვად გაგზავნის ტრიბუნებსა და სარბიელზე ულტრაიისფერ სხივებს. ჰაერი სტადიონზე კონდიცირებულია. ზაფხულის ცხელ დღეებშიც და ზამთრის ყინვაშიც აქ სასიამოვნო სიგრილე იქნება გამეფებული.

ფეხბურთის გარდა რომელ შეჯიბრებებს ნახავენ გულშემატკივრები სტადიონის სარბიელზე? დარწმუნებული ვარ, რომ აქ არა მარტო ფეხბურთის, ან ვთქვათ, მძლეოსნობის გულშემატკივრები მოვლენ. დავუშვათ, რომ თქვენ მოგწონთ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. წარმოიდგინეთ, რომ ნამდვილი ტრამპლინი თქვენს თვალწინ რაღაც წუთებში აღიმართება აქვე, სტადიონზე. მსუბუქი მეტალის კონსტრუქციები, ხელოვნური, სინთეზური თოვლი, აი, რა არის საჭირო, რათა ცხელი ზაფხულის დღეს „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ შეძლონ თავიანთი ხელოვნების ჩვენება.

ტრამპლინიდან მხტომელებს ფიგურისტები შეცვლიან. ტრიბუნების ქვეშიდან სარბიელზე ავტომატურად გამოიწევს ყინულის მოედანი.

სპორტული ნაგებობების უნივერსალობა სპორტული მშენებლობის ხვალინდელი დღეა. უკვე ჩვენს ხანაში ეს ტენდენცია თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ბევრ არსებულ სპორტულ ნაგებობაში. ავიღოთ, მაგალითად, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე. გუშინ იქ ტანმოვარჯიშეები ასპარეზობდნენ, დღეს ხელოვნურ ყინულზე ჰოკეისტთა მატჩს ვუყურებთ, ხვალ კი სარბიელი საკონცერტო ესტრადად იქცევა. ასეთი მეტამორფოზები თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობის დახმარებით შეიძლება სულ რაღაც რამდენიმე საათში განვახორციელოთ.

მაგრამ, გავაგრძელოთ ჩვენი მოგზაურობა. XX საუკუნის უკვე პირველ ნახევარში ფართო განვითარება ჰპოვა და ხალხი დააინტერესა სპორტის ბევრმა ისეთმა სახეობამ, რომელიც ტექნიკასთან, მანქანასთან იყო დაკავშირებული. ასეთია, მაგალითად, სალიდერო ველორბოლა და ავტო-მოტოშეჯიბრებები, საწყლოსნო თხილამურები, საპარაშუტო, საპლანერო სპორტი. შეიძლება მომავლის სტადიონებზე მაყურებლებმა ნახონ წარმტაცი შეჯიბრებები საჰაერო ველოსიპედებით, ფრთიანი აპარატებითა და საწყლოსნო თხილამურებითაც კი.

თუმცა, ამისთვის საჭიროა, რომ სარბიელი აუზად იქცეს. რატომაც არა? ავიღოთ ძველი რომის ისტორია. კოლიზეუმის სარბიელი ემსახურებოდა საზეიმო და ხშირად სისხლისმღვრელ სანახაობებსაც, მათ შორის ბევრი წყალზე იმართებოდა. სარბიელი წყლით ივსებოდა და ხმლებით შეიარაღებული მონები — გლადიატორები, რომლებიც დიდ ნავებში ისხდნენ, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ.

ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობისთვის ასეთი სანახაობები, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის საჭირო, მაგრამ თვით სარბიელის აუზად გარდაქმნის იდეა ყურადღებას იმსახურებს. თანაც, ასეთი გამოცდილება უკვე გვაქვს. გავიხსენოთ საწყლოსნო ზეიმები, რაც რამდენიმე წლის წინ მოსკოვის ცირკში იმართებოდა.

აუზი, რომელიც სტადიონის სარბიელზე გაჩნდება, ყოველთვის ხელახლა როდი უნდა ავავსოთ წყლით. უზარმაზარი აბაზანა წინასწარ გაწმენდილი გამდინარე წყლით, რომელსაც ტუმბოს დახმარებით მდინარიდან ან რომელიმე სხვა წყალსაცავიდან მოაწოდებენ, მუდამ მზად იქნება სარბიელზე, უფრო სწორად, მის ქვეშ. მაყურებლებისთვის იგი უმთავრესად უხილავი იქნება. მაგრამ აი, აფიშები გამოაცხადებენ დიდ საწყლოსნო ზეიმს, შეჯიბრებას ცურვასა და ნიჩბოსნობაში, მატჩს წყალბურთში. 100 ათასი მაყურებელი და მილიონობით ტელემაყურებელი დაინახავს, როგორ ჩაიძირება სინთეზური საფეხბურთო მინდორი აუზის ფსკერზე მართვის პულტის ღილაკზე ხელის დაჭერის შემდეგ, ხოლო ტრიბუნების ქვევიდან გამოცურდებიან კანოებსა და ბაიდარებში მსხდომი სპორტსმენები. დამთავრდება ნიჩბოსანთა შეჯიბრებები და საწყლოსნო ბილიკებზე გამოვლენ ცურვის ჩემპიონები, წყალბურთელთა გუნდები. განსაკუთრებული სატელევიზიო მოწყობილობის დახმარებით ჩვენ შევძლებთ თვალ-ყური ვადევნოთ სპორტის ისეთ თვალწარმტაც სახეობას, როგორიცაა წყალქვეშ ცურვა. უხილავი ხილვადი გახდება, აკვალანგისტთა შეჯიბრებები მრავალ მაყურებელს მიიზიდავენ.

ამ ბოლო დროს მშენებლები სულ უფრო ხშირად კამათობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის ქალაქი. მე ვფიქრობ, ამ კამათში არქიტექტორებს ხშირად ავიწყდებათ უბრალო ჭეშმარიტება: მომავლის ქალაქის საცხოვრებელი სახლი ამავე დროს აქტიური დასვენების ადგილიც უნდა იყოს. მხედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა ფიზკულტურა და სპორტი. სპორტი მაქსიმალურად უნდა დავუახლოვოთ საცხოვრებელ ადგილს. სტადიონების, სპორტული მოედნების მშენებლობების დროს ხშირად გადაულახავი დაბრკოლება იქმნება: ტერიტორია არ არის საკმარისი. ამ დროს კი დიდი თანამედროვე სახლის ბრტყელი სახურავი თითქმის მზა სპორტული მოედანია. ბადეებით შემოღობილ ასეთ სახურავზე შეიძლება კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, რიკაობის თამაში. იქვე შეიძლება ბავშვებისთვის პატარა საცურაო აუზის გაკეთება. საჭიროების მიხედვით ცხელ დღეებში ან უამინდობის დროს შეიძლება სახურავზე ამ თავისებური სტადიონის გადახურვა და საკუთარი მიკროკლიმატის შექმნა.

შენობის ქვედა სართულებში შეიძლება სპორტული დარბაზების განლაგება.

იქნებ ყველაფერი ისე არ იყოს, როგორც მე მაქვს წარმოდგენილი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: სპორტულ მშენებლობაში, უკვე ახლო მომავალში ბევრი ახალი და საინტერესო რამ გაჩნდება.



ჩვენი [illegible]





## ხაბაროვსკის ფიზკულტურის ინსტიტუტში

ხაბაროვსკის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე „ახალგაზრდაა“ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავზე ამ სასწავლებლის სტუდენტი გახდა 150 ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ ფიზკულტურის მასწავლებლები და მწვრთნელები იქნებიან. ახლა ამ ინსტიტუტში სწავლობს შორეული აღმოსავლეთის ყველა მხარისა და ოლქის 600-მდე წარმომადგენელი. წლეულს ეს უმაღლესი სასწავლებელი სპეციალისტთა პირველ ნაკადს გამოუშვებს.

ინსტიტუტს აქვს კარგი სასწავლო და სპორტული ბაზები, რომლებიც ხაბაროვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის მახლობლადაა განლაგებული. იქ სტუდენტები გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ და შეჯიბრებებსაც მართავენ. თვით ინსტიტუტის შენობაში მოთავსებულია 7 სპორტული დარბაზი, შესანიშნავი სააქტო დარბაზი, სალექციო აუდიტორიები, ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

ხაბაროვსკის ინსტიტუტში სწავლობს 18 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 32 ოსტატობის კანდიდატი, 126 სხვადასხვა სპორტული კატეგორიის მსაჯი. ამ სასწავლებლის ბევრი სტუდენტი საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ხაბაროვსკის მხარისა და რუსეთის ფედერაციის ნაკრებ გუნდებში შედის. ზოგიერთი მათგანი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრიცაა.

სურათებზე: ზევით — ხაბაროვსკის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი; ქვევით (მარცხნივ) — სტუდენტი სპორტსმენის ს. დობროვოლსკის კომპლექსური გამოკვლევა, რომელსაც ატარებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. პახომოვი, მარჯვნივ — ძალოსნობის დარბაზში. წინა პლანზეა III კურსის პირველთანრიგოსანი სტუდენტი ა. ოზეროვი. მეცადინეობას ატარებს უფროსი მასწავლებელი ბ. რაიხკი.

ვ. ვოლოშენკოს ფოტო (აას-ი).

1970 ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

## „ბ" ჯგუფი

II ზონის I ქვეჯგუფი

20 ოქტომბერს გაიმართა „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების ბოლო ტურის კალენდარული შეხვედრები.

## რ. სირაძის 3 ბურთი

ტყიბულში ადგილობრივმა „მეშახტემ" მიიღო კრასნი სულინის „მეტალურგი".

ეს მატჩი ერთობ უხვგოლიანი გამოდგა. 90 წუთის მანძილზე ორივე გუნდის კარი აღებულ იქნა 9-ჯერ, მაგრამ თუ მასპინძელთა მიერ გატანილი ბურთები მათი საერთო უპირატესობის შედეგი იყო, საპასუხო გოლები უნდა აიხსნას „მეშახტის" დაცვის შეცდომებით.

სტუმრების კარი უკვე დასაწყისშივე აღმოჩნდა აშკარა ხიფათის წინაშე, მაგრამ ეს მომენტები არ იქნა გამოყენებული. სამაგიეროდ, „მეტალურგის" მოულოდნელი კონტრშეტევა დამთავრდა იმით, რომ ივანოვმა აიძულა ბუაძე ბადიდან გამოეტანა ბურთი.

ტყიბულელები ისევ უტევდნენ. მე-20 წუთზე სირაძემ აღადგინა თანაფარდობა, მცირე ხნის შემდეგ მანვე კარგად გამოიყენა თოდიძის გადაცემა და დააწინაურა თავისი გუნდი. ტაიმის დასასრულს ლორთქიფანიძის თავური დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 3:1.

მეორე ტაიმი მეშახტეებმა მარცხიანად დაიწყეს. განახლდა თამაში, ჯერ ტესტოვმა, ხოლო შემდეგ ივანოვმა 2 ბურთი გაიტანეს და მდგომარეობა გათანაბრდა — 3:3. მასპინძლები დიდ ხანს უშედეგოდ უტევდნენ, ბოლოს, მე-80 წუთზე, აუშტროვის დარტყმამ შორი მანძილიდან მიაღწია მიზანს — 4:3. ამის შემდეგ ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა (კამჩეევი), მაგრამ ტყიბულელებმა მაინც იძალეს და 85-ე წუთზე გაიტანეს გადამწყვეტი გოლი. ეს მოხდა ასე: გარღვევაზე გასული თოდიძე უხეშად წააქციეს „მეტალურგის" მცველებმა. პენალტი ზუსტად გამოიყენა სირაძემ — 5:4.

ზ. ჯორჯაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## თავის მინდორზე წაუგებლად

ფოთის „კოლხეთის" ახალგაზრდული კოლექტივი კარგად გამოდის წლევანდელ გათამაშებაში. გუნდს საკუთარ მინდორზე არ წაუგია არც ერთი შეხვედრა და ეს ტრადიცია შენარჩუნებულ იქნა განვლილ მატჩშიც სარანსკის „სპარტაკთან".

ფოთელებმა თავიდანვე აქტიურად წარმართეს თამაში, თუმცა პირველი 45 წუთის მანძილზე ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის გამოყენება. ამის მიზეზი უმთავრესად ისაა, რომ თავდამსხმელები გადამწყვეტ მომენტებში უზუსტობას იჩენდნენ. კერძოდ, ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს ალმასიამ, სიჭინავამ.

„კოლხეთის" უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. გოლი, რომელმაც გუნდს მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა 72-ე წუთზე. არზიანმა თავისი გარღვევა დაამთავრა ზუსტი გადაცემით ალმასიასკენ და ამ უკანასკნელმა ამჯერად შეუცდომლად დაარტყა — 1:0.

ვ. ბასილაია,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გამარჯვება შეინარჩუნეს

„ბ" კლასის ტურნირის ბოლო მატჩი ცხინვალის „სპარტაკს" თავის მინდორზე ჰქონდა ბელაია კალიტვას „ორბიტასთან".

თამაში კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-20 წუთზე სპარტაკელთა მცველმა რ. თედეევმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით, შეასრულა ღრმა რეიდი და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სტუმართა თავდამსხმელის, აგეევის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი კარში გავიდა და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ტაიმის დასასრულს წუთი აკლდა, მასპინძლები უკანასკნელ შეტევას აწარმოებდნენ და მათი თავდამსხმელი გაზაევი სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ მომენტში იგი ხელით დაიჭირა „ორბიტის" მეკარე პონომარენკომ. პენალტი ზუსტად გამოიყენა იმავე გაზაევმა — 2:1.

მეორე ტაიმში სტუმრები ხშირად უტევდნენ, სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ „სპარტაკის" დაცვამ შეძლო ყველა მათი შეტევის უვნებელყოფა. აღნიშვნის ღირსია ცხინვალელთა ახალგაზრდა მეკარის ცხოვრებოვის კარგი თამაში.

ვ. მელქოევი,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სტუმართა წარმატებით...

სოხუმში გაიმართა კალენდარული შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და რუსთავის „მეტალურგს" შორის.

მატჩი საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. თამაშის პირველი ნახევარი დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში კი არ ჩანდა. 43-ე წუთზე „მეტალურგის" ერთ-ერთი იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა შეყრილაძემ — 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა რამდენიმე კარგი კომბინაცია განახორციელეს, რომელთაგან ერთ-ერთი მე-17 წუთზე დამთავრდა გაბისკირიას მიერ გატანილი საპასუხო გოლით — 1:1.

სოხუმელებმა მაინც ვერ დააღწიეს თავი დამარცხებას. „მეტალურგის" თავდამსხმელმა ლობზევმა მეორედ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „მეტალურგს" — 2:1.

შ. ჯალაღონია,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

* * *

ამ დღეს გაიმართა „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფის გუნდების სხვა შეხვედრებიც: „მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 5:1, „ზურია" (ლანჩხუთი) — „სპარტაკი" (რიაზანი) 3:1, „სულორი" (ვანი) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) 1:0, „ტორპედო" (ეისკი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 6:0.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის ხალხბურთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

● „მშენებელი" (ბორჯომი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:1. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

● „მესხეთი" (ახალციხე) — „მზიური" (გალი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და დამთავრდა უშედეგოდ. შესვენების შემდეგ ანგარიში გაიხსნა ვართანიანის მიერ „მზიურის" კარში გატანილი გოლით, მაგრამ გალელებმა მარცხს ძლიერი კონტრშეტევებით უპასუხეს და ანჯაფარიძემ მალე შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ისანი" (თბილისი) 2:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

ეს იყო მნიშვნელოვანი შეხვედრა ორივე გუნდისთვის. სამტრედიელებმა თავიდანვე დიდი აქტიურობა გამოიჩინეს და მე-18 წუთზე პირველ წარმატებასაც მიაღწიეს (დოლიძე), ხოლო ხუთიოდე წუთის შემდეგ კოხრეიძემ მეორედ აიღო „ისნის" კარი. ლოკომოტიველები შესვენების შემდეგაც ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ უპირატესობას და დამსახურებული გამარჯვებაც მათ დარჩათ.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ენგური" (ზუგდიდი) 0:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

მატჩის ბედი გადაწყვიტა ზუგდიდელი ჩხოლარიას მიერ პირველ ტაიმში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა. მასპინძლები შესვენების შემდეგ ბევრს უტევდნენ, მაგრამ თავდამსხმელთა უზუსტო დარტყმების გამო ანგარიში არ შეცვლილა.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „მაღაროელი" (ტყიბული) 1:0. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

ინიციატივა თავიდანვე მასპინძლებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. საბოლოოდ „ფეიქარმა" შეძლო მხოლოდ ერთი ბურთის გატანა (ყუფარაძე), რომელმაც მათ მოუტანა 2 ქულა.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „გიგანტი" (ლაითური) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გორელებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს თამაში და მე-17 წუთზე გახსნეს ანგარიში (ხანიშვილი). შესვენების შემდეგ გორელთა საერთო უპირატესობა უფრო შესამჩნევი შეიქნა. ბერიკაშვილმა კიდევ 2 ბურთი გაიტანა „გიგანტის" კარში, რის შემდეგ „ქართლმა" დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

● „ცისკარი" (სიღნაღი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა. ცხაკაიელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში მეორე ტაიმში, რამდენიმე სწრაფი, ზუსტი კომბინაცია განახორციელეს და მალე ძაგანიამ ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში. 29-ე წუთზე ნიკოლეიშვილმა მიუსწრო მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს და ბადეში გაგზავნა იგი — 2:0.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გათამაშების ლიდერმა — „მეტალურგმა" თავიდანვე დამაჯერებლად დაიწყო თამაში, მაგრამ 45 წუთმა განვლო ისე, რომ წალენჯიხელებმა შემტევ მხარეს არ მისცეს გოლის გატანის საშუალება. თავის უპირატესობის რეალიზაცია ლიდერმა შეძლო მხოლოდ შესვენების შემდეგ. ანგარიში გახსნა ცინცაძემ, ხოლო გლინანოვმა მეორე ბურთი გაიტანა „სქურის" კარში.

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

II ჯგუფი, I ზონა. „გარისი" (თეთრი წყარო) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:3, „არაგვი" (მცხეთა) — „ვარძია" (ასპინძა) 0:2, „გარეჯი" (საგარეჯო) — „სპარტაკი" (რუსთავი) 1:0, „შევარდენი" (თბილისი) — „ჭერეთი" (ლაგოდეხი) 3:3. წითელი წყაროს „შირაქმა" გამარჯვება ჩაითვალა წალკის „მშენებელთან".

II ზონა. „სამგურალი" (წყალტუბო) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1:1, „დინამო" (ქუთაისი) — „მექანიკოსი" (სამტრედია) 2:1, „კოლხეთი" (ხობი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 4:3. ადიგენის „განახლებას" გამარჯვება ჩაეთვალა ბათუმის „ქორომთან", ხოლო ჩხოროწყუს „კოლმეურნეს" — საჩხერის „ჩიხურასთან".

შედგა გამოტოვებული შეხვედრები. აი, მათი შედეგები: „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0, ასკ (თბილისი) — „მზიური" (გალი) 1:0, „ისანი" (თბილისი) — „მზიური" (გალი) 1:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე" (ქედა) 0:1, „მშენებელი" (წალკა) — „ვარძია" (ასპინძა) 1:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „შევარდენი" (თბილისი) 1:2.

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 22 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 39 | 23 | 9 | 7 | 79—34 | 55 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 37 | 23 | 9 | 5 | 72—42 | 55 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 37 | 19 | 13 | 5 | 74—37 | 51 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 34 | 20 | 8 | 6 | 60—29 | 48 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 36 | 17 | 12 | 7 | 59—34 | 46 |
| „სინათლე" (თბილისი) | 36 | 17 | 11 | 8 | 62—36 | 45 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 36 | 17 | 10 | 9 | 52—33 | 44 |
| „ისანი" (თბილისი) | 38 | 13 | 17 | 8 | 42—35 | 43 |
| „მზიური" (გალი) | 38 | 10 | 18 | 10 | 44—42 | 38 |
| „სამცხე" (აწყური) | 34 | 12 | 14 | 8 | 34—32 | 38 |
| ასკ (თბილისი) | 38 | 15 | 8 | 15 | 44—47 | 38 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 37 | 14 | 10 | 13 | 47—57 | 38 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 38 | 12 | 13 | 13 | 53—54 | 37 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 38 | 10 | 13 | 15 | 36—43 | 33 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 37 | 9 | 14 | 14 | 40—60 | 32 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 35 | 9 | 11 | 15 | 40—39 | 29 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 37 | 7 | 15 | 15 | 26—43 | 29 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 37 | 8 | 13 | 16 | 24—43 | 29 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 38 | 5 | 16 | 17 | 39—68 | 26 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 37 | 6 | 8 | 23 | 36—69 | 20 |
| „მაღაროელი" (ტყიბული) | 37 | 5 | 10 | 22 | 40—75 | 20 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 38 | 4 | 10 | 24 | 41—92 | 18 |

## სპორტული მურჯაკანი

დამთავრდა გურჯაანის რაიონის კალათბურთელთა ასპარეზობა, რომელიც ადგილობრივი სპარტაკიადის პროგრამით იყო გათვალისწინებული და მიზნად ისახავდა რაიონის ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას.

„სამტრესტის" გურჯაანის სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა (მწვრთნელი ლ. ქიქიკაშვილი) ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა. II ადგილი მოიპოვა კარდანახის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, III — „ლოკომოტივის" კოლექტივმა.

* * *

საინტერესო იყო „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ველოსპორტში. ასპარეზობა ჩატარდა 25 კილომეტრზე რბოლაში. დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა გაკურცხის კოლმეურნეობის გუნდის წევრმა ბეჟაშვილმა. II ადგილზე გავიდა მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ველოსიპედისტი გვრიტიშვილი, ხოლო III — ამავე მეურნეობის წარმომადგენელი ქილაშვილი.

ბ. წიკლაური.

## ნიკოპოლში საქართველოს რეკორდით

ამას წინათ ნიკოპოლში გაიმართა უკრაინის მშვილდოსანთა ღია ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საქართველოდან მიწვეული იყვნენ ქ. ლოსაბერიძე, ზ. რიჟამაძე, ე. არველაძე და ა. სოხაძე. ბრძოლაში 27 ვაჟი და 24 ქალი ჩაება. სარბიელზე გამოვიდა 8 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 24 სპორტის ოსტატი, რომელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები. უკრაინის ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, აგრეთვე, სპორტის ოსტატები, მამა-შვილი მ. და ბ. ხუსკივაძეები.

საქართველოს სპორტსმენებმა ტურნირზე დაიგვიანეს, რადგან ფრენისთვის ხელსაყრელი ამინდი არ იყო. ამიტომ „მ-1" ვარჯიშის ორჯერ შესრულების ნაცვლად მათ მხოლოდ თითო ვარჯიშში მიიღეს მონაწილეობა.

კომპლექსში შეჯიბრებისას ვაჟთა შორის იმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის ოსტატმა ვ. სიდორუკმა, რომელმაც სსრ კავშირის სამი ახალი რეკორდი დაამყარა. ქალებში საუკეთესო იყო მსოფლიოს შარშანდელი და ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. კრავსი.

საქართველოს ჩემპიონმა ქ. ლოსაბერიძემ 30 მეტრიდან სროლაში 327 ქულა დააგროვა, საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და ვარჯიშშიც მოიგო.

ვაჟებიდან კარგად იასპარეზა სოხაძემ, 50 მეტრიდან შეჯიბრებაში მან მეორე შედეგი (289 ქულა) მოიპოვა, ხოლო 70-მეტრიდან — მეხუთე (266).



ამას წინათ გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოსა და თბილისის სახალხო განათლების განყოფილების მძლეოსნობის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების გუნდების მატჩი, რომელიც პროფსაბჭოს სკოლის აღსაზრდელებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს.

სურათზე: 4×400 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტის მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.

## ხვალ „ტივოლის“ სპორტის სასახლეში

22 ოქტომბერს ლიუბლიანის „ტივოლის“ სპორტის სასახლის ფიცარნაგზე გამოვლენ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების სათადარიგო სპორტსმენები, რომელთა მიერ შესრულებული ვარჯიშების მიხედვით მსაჯები დააზუსტებენ წესების ცალკეულ პუნქტებს. ამ უჩვეულო პროცედურაში სსრ კავშირიდან მონაწილეობენ გროდნოელი ო. კორბუტი, ბათუმელი რ. სიხარულიძე, ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი) და ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი). შემდეგ ორთაბრძოლას დაიწყებენ ტანმოვარჯიშე ქალები, ორი დღის შემდეგ კი გამოვლინდებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები ქალთა და გუნდურ ჩათვლაში. მეორე დღეს გაირკვევა ტანმოვარჯიშე ვაჟთა შორის გამარჯვებულთა ვინაობა. 27 ოქტომბერს როგორც ქალები, ისე ვაჟები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში.

# გაიმარჯვა ყველაზე ახალგაზრდამ

**სოხუმი**, 21 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. უბილავამ ვერაფერი გააწყო პერესიპკინთან პარტიაში და წაგებას შეურიგდა. რომანიშინმა დაამარცხა პროდანოვი, პანჩენკომ — პეტროსიანი. ყაიმზე შეთანხმდნენ ფოგტი — ხორვატი, პროდანოვი—მაკარიჩევი და ანდერსონი — პანჩენკო.

ამრიგად, ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 8,5 ქულა, 2. ს. მაკარიჩევი (მოსკოვი) — 8, 3. უ. ანდერსონი (შვეცია) — 7, 4-5. ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი) და ო. რომანიშინი (ლვოვი) — 6,5-6,5, 6-7. ი. ბარლე (იუგოსლავია) და ლ. ფოგტი (გდრ) — 6-6, 8. ე. უბილავა (თბილისი) — 5, 9. ა. პეტროსიანი (ერევანი) — 4,5, 10. ტ. ხორვატი (უნგრეთი) — 4, 11. ვ. პერესიპკინი (კიევი) — 3, 12. დ. პროდანოვი (ბულგარეთი) — 1.

ჭადრაკი

# ოსტატები — დიდოსტატების წინააღმდეგ

სოჭი, 20 ოქტომბერი. აქ მიმდინარეობს საინტერესო საჭადრაკო ტურნირი: დიდოსტატების წინააღმდეგ თამაშობენ ოსტატები. როგორც ცნობილია, ტურნირი ტარდება შევენინგენის სისტემით, ორ წრედ. ყოველი ოსტატი ორჯერ თამაშობს დიდოსტატთან. თითქმის ყველა პარტია დაძაბულია და ხშირად დიდოსტატები წარმოთქვამენ მათთვის უსიამოვნო სიტყვას: „გნებდებით“. მაგალითად, ოდესელმა გ. კუზმინმა ფარ-ხმალი დააყრევინა დიდოსტატ ვ. კორჩნოის, გ. ტუკმაკოვმა (ოდესა) — დიდოსტატ ვ. ლიბერზონს. 4 ტურის შემდეგ წინ არიან დიდოსტატები — 13:10.

# ყოველი მხრიდან

ქვეყანა სპორტის სამყარო

## მარცხი 100 წლის შემდეგ

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა შოტლანდიის ფეხბურთელთა კლუბი „ჰამილტონ აკადემიკელზი“. თავისი დაარსების 100 წლისთავზე იგი კინაღამ ფინანსურად გაკოტრდა, როცა ბოლო ადგილი დაიკავა შოტლანდიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში. კლუბი კრახისგან მხოლოდ „ჰამილტონის“ ყოფილი დირექტორების ჩარევამ იხსნა. მათ ფული შეაგროვეს, რათა მოსალოდნელი კატასტროფა თუნდაც ცოტა ხნით გადაედოთ.

თუმცა, ამ კლუბის ისტორია გამონაკლისი სულაც არ არის შოტლანდიის ფეხბურთში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპორტი შოტლანდიაში, თუ შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარულია, ბევრ კლუბს არსებობაც კი უჭირს. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ „სელტიკი“ და „რეინჯერსი“. ამ ორი წამყვანი კლუბის თამაშს საშუალოდ 35411 („სელტიკი“) და 32203 („რეინჯერსი) მაყურებელი ესწრება. პოპულარობის მხრივ მესამე ადგილზეა „ჰიბერნიანი“ — 14265 მაყურებელი. ამასთან, მაყურებლის რიცხვის შემცირების გამო „ჰიბერნიანიც“ იძულებული იყო შარშანდელ სეზონში გამოსთხოვებოდა საუკეთესო ფეხბურთელებს — სტინს, მარინელოს და კორმაკს. მან ეს ფეხბურთელები 750 ათას დოლარად გაყიდა და 300 ათასად იყიდა რამდენიმე ახალბედა. „ჰიბერნიანმა“ ამით ბიუჯეტში დეფიციტი დაფარა ახლა ამ მესამე გუნდს განზრახული აქვს გაყიდოს შოტლანდიის საუკეთესო მოთამაშე სეზონში 25 წლის პეტსტენტონი.

რა ჰქნას იმ კლუბმა, რომლის შემადგენლობაშიც ვარსკვლავები არ გამოდიან?

## კლაუდიო ანდიო თანამგზავრს ეძებს

ესპანეთის ექს-ჩემპიონმა სპორტულ სიარულში კლაუდიო ანდიომ მადრიდის გაზეთების ფურცლებზე შემდეგი განცხადება გააკეთა. „ინტელიგენტი, მხიარული კაცი ეძებს თანამგზავრს ესპანეთის ირგვლივ ფეხით მოგზაურობაში. თანამგზავრი 60 წელზე მეტისა არ უნდა იყოს“.

ყოფილ ჩემპიონს ამ განცხადებაში პატარა დეტალები გამორჩა: მისი „ტური ესპანეთის გარშემო“ რიგით მეათეა. თავად კლაუდიოს ახლახან 75 წელი შეუსრულდა. მაგრამ ეს წვრილმანი გამართლებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ანდიო სიარულის მაღალ ტემპს ინარჩუნებს (დაახლოებით 8 კმ საათში) და უნდა 25 ტური მაინც მოაწყოს.

# • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

### კენჭისყრა — 18 ნოემბერს

როგორც უეფა-ს აღმასკომის ცნობაშია ნათქვამი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალების კენჭისყრა მოეწყობა 18 ნოემბერს პარიზში.

ცნობილი გახდა, რომ ორივე თასზე მეოთხედფინალის სათამაშო დღეები იქნება მომავალი წლის 10 და 21 მარტი.

რაც შეეხება ე. წ. „საბაზრო ქალაქების“ თასის მეოთხედფინალის კენჭისყრას, იგი გაიმართება 5 ნოემბერს ლონდონში.

• •

### ძნელია შენატრო!

წლეულს ესპანეთის I ლიგას დაუბრუნდა წარსულში სახელოვანი გუნდი „ესპანიოლი“ (ბარსელონა). საჭირო გახდა მისთვის ახალი დირექტორატის შერჩევა. კლუბის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს მ. მელერი. ძნელია შენატრო ახალ პრეზიდენტს: „ესპანიოლი“ არა მარტო უფერულად თამაშობს, არამედ მას დიდი ვალიც აქვს — 173 მილიონი პესეტი!

• •

### „ვამართლებ კიდეც“

ცნობილი მწვრთნელი ელ. ერერა („რომა“) ისეთ ჯამაგირს იღებს, რომელზეც სხვა სპეციალისტები ვერც იოცნებებენ, — 218 მილიონ ლირას წელიწადში. ამის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობა დროდადრო აფორიაქდება ხოლმე — ერერას ევროპის სხვა დასხვა კლუბები ეპატიჟებიან. „რომა“ იტალიის I ლიგის საშუალო გუნდია. ზოგი მიმომხილველი იმასაც კი ფიქრობს, რომ მას მხოლოდ მწვრთნელით უდგია სული.

თვით ერერა კმაყოფილია „რომას“ შედეგებით და მიიჩნევს, რომ მისი კლუბი თანდათან გააუმჯობესებს თამაშს. „რა ვუყოთ რომ ბევრს ვღებულობ, აკი, ვამართლებ კიდეც“.

• •

### „არაფერი, ბურთის გარდა“

33 წლის ბ. ჩარლტონი ინგლისის მიმდინარე ჩემპიონატში ჭაბუკურად თამაშობს. რას მივაწეროთ ვეტერანის ასეთი გაახალგაზრდავება? თვით ბ. ჩარლტონმა განაცხადა:

„დამთავრდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონატი, კუნძულ კასტავაიზე (ავსტრალიის მახლობლად) გავემგზავრე. ძალიან გადაღლილი ვიყავი ეროვნული პირველობისა და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. დავისვენე და თანაც როგორ! კუნძულზე არც ტელეფონია, არც ტელევიზორი. ბურთის მეტი არაფერი მქონდა!“

ვეტერანი საოცრად სწრაფად დარბის, არ იცის დაღლა. ერთი სიტყვით, ესაა ისევ ის ახალგაზრდა ბობი ჩარლტონი!

• •

### „აკრანესი“ — ჩემპიონი

ისლანდია პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც უკვე დაასრულა თავისი 1970 წლის ჩემპიონატი.

I ადგილი გაინაღდა „აკრანესმა“. შარშანდელი ჩემპიონი „კეფლავიკი“ ამჯერად II ადგილზეა.

• •

### ჰაგანი „ბენფიკას“ სათავეში

ხანგრძლივი აყალმაყალისა და მწვრთნელის ძიების შემდეგ „ბენფიკას“ საქმეები თითქოს მოწესრიგდა. გუნდს სათავეში ჩაუდგა ინგლისელი სპეციალისტი ჰაგანი, რომელიც უკანასკნელი 5 სეზონის მანძილზე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ წვრთნიდა.

ჰაგანმა განაცხადა, რომ „ბენფიკა“ თასების მფლობელთა თასის გათამაშების უდავო ფავორიტია. მან გადაახალისა გუნდის შემადგენლობა, რომელიც ახლა ასე გამოიყურება: ჰენრიკე, მალტა და სილვა, ჰუმბერტო, ზეკა, ბაროსი, მატინე, მარტინესი, გრასა, ჟორჟე (მას ხანდახან ცვლის ტორესი), ეუსებიო, სიმოესი.

ეუსებიო ახლა გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შარშან. კვლავ ძალზე შედეგიანია პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი ა. ჟორჟე. 12 სეზონის მანძილზე გუნდის თამაშს საუცხოოდ ხელმძღვანელობდა კოლუნა, ახლა მისი ფუნქციები მატინესა და მარტინესს გადააბარეს.

• •

### ვან ჰიმსტის წერილი

გამოჩენილმა ბელგიელმა თავდამსხმელმა ვან ჰიმსტმა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა წერილით, რომ აღარ გამოიძახოს იგი ნაკრებში და, პირიქით, არ მოსთხოვოს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა.

ვან ჰიმსტი ამას ხსნის თავისი სპორტული ფორმის აშკარა გაუარესებით. ამიერიდან იგი მხოლოდ თავის საკლუბო გუნდ „ანდერლეხტში“ აპირებს თამაშს.

# იერიში ხმის ზღვარზე

ბონევილში (აშშ), დამშრალი ტბის ფსკერზე, სადაც ავტომობილისტთა ბევრი შეჯიბრება გამართულა, ამ დღეებში სენსაცია მოხდა: 30 წლის ამერიკელმა გ. გეიბლიხმა, რომელიც თავის დროზე ამერიკელ ასტრონავტთა ჯგუფში შედიოდა, „ლურჯი ალით“ უჩვეულო სისწრაფე — საათში 1000 კილომეტრი განავითარა. უფრო ზუსტად, მისმა მანქანა-რაკეტამ საკონტროლო მილი 1000,452 კმ სისწრაფით დაფარა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ გეიბლიხის შედეგი მსოფლიო რეკორდად ჩაითვალოს (ძველი რეკორდი — 966,571 კმ — ა. ბრიდლოვს ეკუთვნის). საქმე ის გახლავთ, რომ რეკორდის სარეგისტრაციოდ საათის განმავლობაში სპორტსმენმა საკონტროლო მილი ორი მიმართულებით უნდა გაიაროს, თანაც, საშუალო სისწრაფე წინანდელ მიღწევაზე ერთი პროცენტით მაღალი უნდა იყოს. გეიბლიხის მანქანას კი პირველი ცდის შემდეგ სათბობი სისტემის დამცველი მოსძვრა და მანქანის დროზე შეკეთება ვერ შეძლეს.

გეიბლიხის მანქანა — ესაა რაკეტა თვითმფრინავის კუდით. საწვავად ბუნებრივ გაზს იყენებენ (გეიბლიხის პროექტი გაზის მრეწველობის კომპანიამ დააფინანსა).

„ლურჯ ალს“ ქანისთვის სამიოდე კილომეტრი ჰყოფნის. მძღოლი ამ მონაკვეთის გავლის შემდეგ ძრავას მთელი ძალით (58000 ცხენის ძალა) ჩართავს, რითაც საწვავი 20 წამის განმავლობაში იხარჯება. ეს დრო საკმარისია, რათა მანქანამ ტრასა გაიაროს. მანქანის შესაჩერებლად მრბოლელი სამუხრუჭო პარაშუტებს იყენებს.

გეიბლიხის მანქანის სიგრძე 11,65 მეტრია, სიმაღლე — 2,54 მ. იგი 2947 კგ-ს იწონის. მანქანამ აეროდინამიკური გამოცდისას საათში 1448 კმ სისწრაფე განავითარა.

1000-კილომეტრიანი ზღვარის გადალახვა საავტომობილო ტექნიკაში მოვლენაა. გეიბლიხს განზრახული აქვს თავისი მანქანით გადალახოს „ხმის ზღვარი“, ესე იგი, საათში 1200 კმ სისწრაფე განავითაროს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.


„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)

23 ოქტომბერი
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს.

24 ოქტომბერი
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 17 ს.



გამოიწერეთ გაზეთი
Советский СПОРТ

1971 წლისთვის


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04459